პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 114 (11118) | სამშაბათი, 20 მაისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ბედნიერი თაობა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები (1-ლი გვერდი).
ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული (1-ლი გვერდი).
მიხა ცხაკაიას ძეგლი ქალაქ ცხაკაიაში (1-ლი გვერდი).
ცაში ანთია მშვიდობის ახალი ვარსკვლავი — საბჭოთა მ[illegible] ტრიუმფი (მე-2 და მე-3 გვერდი).
საბჭოთა მ[illegible]რობისადმი (მე-4 გვერდი).
საკდესის განცხადება (მე-4 გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (მე-4 გვერდი).
შ. გოზალიშვილი. — თავისუფლების მგზნებარე მომღერალი (მე-4 გვერდი).

# ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. ყრილობამ ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვა დაუღალავად იზრუნონ კადრების, კომუნისტების პოლიტიკური შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის, შეურიგებლად იბრძოლონ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, მტკიცედ დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების სიწმინდე.

იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი უბანია პარტიული პროპაგანდა, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითად დაუფლებაში, იდეურად გამოაწრთოს ისინი, აამაღლოს მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შესწავლა კომუნისტებს იმისთვისაც ესაჭიროებათ, რომ შეიარაღებული, ყოველმხრივ მომზადებული იყვნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამჟამად იმპერიალიზმის დაქირავებული ლაქიები ბინძურ შეტევას აწარმოებენ ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის —მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, ცდილობენ დაუკარგონ მისდამი რწმენა მშრომელთა უფართოეს მასებს. თანამედროვე რევიზიონისტები, რომლებიც რეფორმიზმის დამპალ პოზიციებზე დგანან, ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის არსს, ლამობენ გადასინჯონ მისი პრინციპული საფუძვლები. ასეთ ვითარებაში, კომუნიზმის მტრული ძალების გააქტიურების, ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და იდეოლოგიური დივერსიის გაძლიერების პირობებში, კიდევ უფრო იზრდება პარტიული განათლების როლი და მნიშვნელობა.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს, რის შედეგადაც საგრძნობად ამაღლდა პარტიული პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონე, გაძლიერდა მისი კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. პარტიული განათლებიდან სულ უფრო გადაჭრით იდევნება შაბლონი, დაძლეულია მისდამი დოგმატური მიდგომა, ყოველდღიურად უმჯობესდება ამ საქმის ხელმძღვანელობა, იგი კონკრეტული და საქმიანი ხდება. მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. თუმცა კომუნისტების პოლიტიკური მომზადების დონე უკანასკნელ ხანებში ამაღლდა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრებაც არ დგას ერთ ადგილზე. იგი განუწყვეტლივ ვითარდება, აყენებს სულ ახალ და ახალ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების თეორიულ გააზრებას და განზოგადებას, მოითხოვს მაღალ კომუნისტურ იდეურობას. ეს კი შეუძლებელია სისტემატური ბეჯითი სწავლის გარეშე.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეასუსტა ყურადღება კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციასა და შინაარსში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, ეს განსაკუთრებით შეეხება სწავლების მიმდინარეობას, მეცადინეობის იდეურ-თეორიულ დონეს.

რედაქციამ ამ ცოტა ხნის წინათ შეისწავლა პარტიული განათლების მდგომარეობა ცხაკაიას რაიონში. აქ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტების პოლიტიკური სწავლება თავმინებებულია. რკინიგზის ცხაკაიას სადგურის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ მიმდინარე პოლიტიკის წრეში მეცადინეობა ზერელედ ეწყობა. სადგურის პარტბიუროს მდივანმა შ. ალანიამ ისიც კი არ იცის, თუ რომელ დღეებში იმართება მეცადინეობა. ამ მხრივ არც რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაშია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. განყოფილების მუშაკებმაც არ იციან, სად და როდის ეწყობა მეცადინეობა. რაიკომში თვლიან, რომ მენჯის ელექტროსადგურის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებობს სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრე, სინამდვილეში კი აქ წრე არ არის, კომუნისტები დამოუკიდებლად ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიულ განათლებაში შემთხვევითი როდია. პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიუროს კომუნისტების თეორიული სწავლების საკითხი მიმდინარე სასწავლო წელს მხოლოდ ერთხელ აქვს განხილული, ისიც აპრილში, როცა შემაჯამებელი მეცადინეობის დრო მოახლოვდა.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კომუნისტების პოლიტიკური სწავლება სტალინირის რაიონის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში. ცუდად მუშაობს სოფელ ხელჩუას პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლა, რომლის პროპაგანდისტია ი. ჯავახიშვილი. აქ მეცადინეობას 4-5 კაცი ესწრება, ხოლო უკანასკნელი ორი თვეა მეცადინეობა სულაც არ მოწყობილა პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის გამო. ამ მდგომარეობას გულგრილად უყურებს პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ა. ვალიევი). დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ეწყობა მეცადინეობა ამავე რაიონის სოფელ სტირქოფის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაშიც (პროპაგანდისტი მ. ალბოროვი).

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანა — წარმატებით დაამთავრონ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, საქმიანად მოვაწყოთ შემაჯამებელი მეცადინეობა პოლიტსკოლებსა და წრეებში. აუცილებელია ასევე დიდი ყურადღება დაეთმოს გავლილი მასალის ირგვლივ დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებთან გასაუბრებათა მოწყობას. მიმდინარე სასწავლო წლის პრაქტიკიდან აუცილებელია გავაკეთოთ დასკვნები მომავლისათვის, იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ შემჩნეული ნაკლოვანებები, ავიყვანოთ პოლიტიკური განათლება პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე. ამ მიზნით პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწავლო წლის დამთავრებისთანავე უნდა შეაჯამონ შედეგები და დასახონ ღონისძიებანი, განამტკიცონ ყოველივე დადებითი პარტიული განათლების სისტემაში.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ზაფხულის თვეებში ოდნავ მაინც შენელდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა. პარტიულმა ორგანოებმა ამთავითვე უნდა მიიღონ ზომები ზაფხულში ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაშლისათვის, უფრო გააქტიურონ პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების, პოლიტიკური განათლების კაბინეტების საქმიანობა. საჭიროა მეტი რაოდენობით და მაღალხარისხოვნად მოვაწყოთ ლექციები თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესახებ და თეორიის სხვა აქტუალურ საკითხებზე. ლექციური პროპაგანდის გაფართოების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობის გაუმჯობესებას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები უფრო მეტად და ღრმად უნდა გაშუქდეს ჩვენი პრესის ფურცლებზე.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ჩვენი პარტიის პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველია. იგი გზას გვინათებს დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას აუცილებლად მივყავართ კომუნისტური იდეურობის, ჩვენი განვითარების პერსპექტივების დაკარგვამდე. პარტიული კომიტეტების მოვალეობაა გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიული პროპაგანდა, გახადონ იგი უფრო ქმედითი, მებრძოლი, კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირონ იგი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ამით პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო აამაღლებენ თავიანთ როლს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.



# ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, თქვენი დაბადების სამოცდამეათე წლისთავის დღეს.

ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში თქვენ ეწეოდით ხელმძღვანელ რევოლუციურ მუშაობას, როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი პეტერბურგელი მუშა-ბოლშევიკი. მთელი თქვენი სახელოვანი სიცოცხლე თქვენ მოახმარეთ დაუღალავ ბრძოლას მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის, ღირსეულად ასრულებდით დიდ ამოცანებს ყოველ პოსტზე, რომელსაც პარტია განდობდათ. თქვენმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ პროფკავშირებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტში მოგიხვეჭათ მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი პატივისცემა.

გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ მიხეილის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებით მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ამხანაგ ნ. მ. შვერნიკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. მ. შვერნიკის დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 17 მაისი.

# ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები

17 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ბირმის კავშირის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები საო შვე ტაიკი და ბო ხმუ აუნგი, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში სტუმრად არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მოწვევით.

ბირმის პარლამენტარებთან ერთად იყვნენ ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ ჩინი და პალატების თავმჯდომარეების თანმხლები პირები.

მიღების დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრო ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ი. აფანასენკო. (საკდესი).

# მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

16 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. დელეგაციაში შედიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანტალ აპრო (დელეგაციის მეთაური), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე არპად კიში, საგარეო ვაჭრობის მინისტრი იენე ინცე, აგრეთვე მრჩევლები და ექსპერტები. (საკდესი).

# მოლაპარაკება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციებს შორის

17 მაისს მოსკოვში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციებს შორის დაიწყო მოლაპარაკება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით.

მოლაპარაკება მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობს. (საკდესი).

# საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

1958 წლის 19 მაისს გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. განხილულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ".

აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

# ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული

★ ★

## ერევნიდან თბილისისაკენ

ერევანში დამთავრდა „ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხულის" მეორე ეტაპი.

ოთხი დღის მანძილზე ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ფილარმონიის დარბაზი და კომპოზიტორთა სახლი მაყურებელს ვერ იტევდა.

გუშინ ნაშუადღევის 2 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა სომხეთის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის დიდი კონცერტი. კონცერტზე შესრულებულ იქნა როგორც სომხური, ისე რუსული, ქართული, აზერბაიჯანული სიმღერები და ცეკვები.

ხალამოს ფილარმონიის დიდ დარბაზში მოეწყო უკანასკნელი კონცერტი ერევანში, რომელზეც შესრულებულ იქნა თანამედროვე სომეხი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები.

„მუსიკალური გაზაფხულის" მონაწილენი და სტუმრები თბილისს გამოემგზავრნენ.

## ფესტივალის მესამე ეტაპი

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იწყება საბჭოთა მუსიკის ფესტივალის —„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" დასკვნითი — მესამე ეტაპი.

ფესტივალის პროგრამა ითვალისწინებს აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების მიერ მუსიკის დარგში მოპოვებულ მიღწევათა ჩვენებას.

წარმატებით ჩაიარა საფესტივალო კონცერტებმა აზერბაიჯანული მუსიკისა — ბაქოში და სომხურისა — ერევანში.

„ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე" ფართოდ იქნება წარმოდგენილი ქართული მუსიკა. მონაწილენი და სტუმრები გაეცნობიან ოპერებს: დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალს", ა. ბუკიას „დაუპატიჟებელ სტუმრებს", ა. მაჭავარიანის ბალეტს „ოტელოს", აგრეთვე ქართულ სიმფონიურ და კამერულ მუსიკას, ხალხურ სიმღერებს.

24 მაისს დაიწყება შემოქმედებითი დისკუსია, რომელზეც განხილულ იქნება ფესტივალის პერიოდში მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები. „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" მონაწილეთა გარდა, დისკუსიაში გამოვლენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრებიც.

* * *

## „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი" ე რ ე ვ ა ნ შ ი

მე ძალიან მომეწონა ა. არუთინიანის კონცერტი საყვირისათვის ორკესტრთან ერთად. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჯ. ტერ-თათევოსიანის პირველმა სიმფონიამ. დირიჟორმა ო. დურიანმა შესანიშნავად ამიხსნა ამ ნაწარმოების შინაგანი ბუნება.

ძალიან ძნელია თანამედროვე თემაზე ოპერის თუ ბალეტის შექმნა. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენს თვალწინ ხდება საოცრად დიდი ძვრები ცხოვრებაში და ხანდისხან კომპოზიტორები მხარდამხარ ვერ მივყვებით ცხოვრებას. კომპოზიტორ გრ. ეგიაზარიანის ბალეტი „სევანი" მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია, ავტორი შემოქმედებითად მიუდგა ჩვენს თანამედროვეობას და სწორედ ამაშია მისი წარმატების საიდუმლოებაც.

ბალეტ „სევანში" ცხოვრებისეული ამბები ამოხსნილია არა უბრალო პანტომიმით, არამედ საინტერესო ცეკვების ენით. მუსიკა და ცეკვა ამ ბალეტში შეხმატკბილებულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ „სევანის" დრამატურგიული კონფლიქტი ნაკლებად დამაჯერებელია.

ჩვენთან ბაქოში კარგა ხანია იდგმება სომხური მუსიკის კლასიკოსის ა. ტიგრანიანის ცნობილი ოპერა „ანუში", ხოლო ერევანში ერთხანს წარმატებით იდგმებოდა უ. ჰაჯიბეკოვის „ქოროღლი". ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ კომპოზიტორებს კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი კავშირი ჰქონდეთ, თბილისის, ბაქოს და ერევნის თეატრების მსახიობები შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, ხშირად მიდიოდნენ ერთმანეთთან.

ასეთი შემოქმედებითი ურთიერთობა შექმნიდა იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელზეც აღმოცენდებოდა ჩვენი ხალხების უძველესი კულტურის უფრო ბრწყინვალე მომავალი.

ფ. ამიროვი,
აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

# მიხა ცხაკაიას ძეგლი ქალაქ ცხაკაიაში

ც ხ ა კ ა ი ა. (საკ. კორ.). თ ვ რ ა მ ე ტ მაისს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ გრიგ ო ლ ი ს-ძე ცხაკაიას ძეგლი. ყვავილებისა და მარადმწვანე ხეების ცენტრში მოზაიკური გრანიტის კვარცხლბეკზე დგას ბრინჯაოს ფიგურა — მიხეილ გრიგოლის-ძე ცხაკაია.



სახელდახ ე ლ ო დ მოწყობილ ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. დოლიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბღაჟბა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. მამულაძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ი. ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პირველი მდივა ნ ი ირ. აბაშიძე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ვ. ესაიაშვილი და სხვები.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მ ა მდივანმა ირ. ურუშაძემ. სიტყვას ამბობს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ვ. ესაიაშვილი. მან დაახასიათა მ. ცხაკაიას ცხოვრება და მოღვაწეობა, აღნიშნა ის სახელოვანი საბრძოლო გზა, რომელიც გაიარა ლენინის პარტიის ამ გამოჩენილმა მოღვაწემ.

აფხაზეთის მშრომელთა სახელით მიტინგის მონაწილეებს მიესალმა ამხ. მ. ბღაჟბა, აჭარის მშრომელთა სახელით — ამხ. დ. მამულაძე. შემდეგ სიტყვას ამბობს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნ. ბოკუჩავა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მ ა მდივანმა ა. ქვარცხავამ, ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელმა ნ. ჭკუასელმა და სხვებმა.

საკუთარი ლექსი წაიკითხა ქ. ცხაკაიას საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. ბერაიამ. პოეტმა ამირან აბშილავამ ლექსი მიუძღვნა ქალაქ ცხაკაიას. პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა ა. თოიძემ რ ა ი ო ნ ი ს მშრომელებს საჩუქრად გადასცა მიხა ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის ერთად გადაღებული გადიდებული სურათი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მიხა ცხაკაიას ახალი ძეგლი ქალაქ ცხაკაიას ცენტრალურ მოედანზე.

# ბ ე დ ნ ი ე რ ი თ ა ო ბ ა

„ორგანიზაცია ბავშვებისა — ეს საუკეთესო გზაა კომუნარების აღსაზრდელად", — ამბობდა დიდი ლენინი.

პირველი პიონერული რაზმები შეიქმნა მოსკოვში, ხოლო შემდეგ ასობით და ათასობით არა მარტო მოსკოვში, არამედ ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებშიც. ალისფერყელსახვევიანმა პიონერებმა ახალი სიცოცხლე და მრავალფეროვნება შეიტანეს მოსწავლეთა საქმიანობაში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის შექმნიდან 36 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უდიდესი როლი შეასრულა მან პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით ბავშვთა აღზრდის საქმეში.

პიონერული ორგანიზაცია საფუძველს უყრის ახალი საზოგადოების აქტიური მოქალაქის ფორმირებას. იგი პირნათლად ასრულებს მოვალეობას — აღზარდოს პიონერებში, ყველა ბავშვში სწავლისა, შრომისა და საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის გაშლილი პროგრამა დაგვისახა პარტიის XX ყრილობამ. პარტიის მიერ სკოლების პოლიტექნიზაციის, მოსწავლეთა ცხოვრებასთან დაახლოების, მათში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩვევების გამომუშავების ღონისძიებანი. რასაც პარტია ახორციელებს, ხელს უწყობს ჩვენი ნორჩი თაობის კომუნიზმის მშენებელ ადამიანებად აღზრდის საქმეს.

ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის შესანიშნავი პროგრამა დაგვისახა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის ცნობილ სიტყვაში საკავშირო ალკკ XIII ყრილობაზე. ეს სიტყვა სახელმძღვანელოა ყველა იმათთვის, ვისაც ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმე აბარია.

„საბჭოთა სკოლა, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მოწოდებულია ამზადებდეს ყოველმხრივ განათლებულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან მეცნიერების საფუძვლები და ამასთან ერთად უნარი აქვთ სისტემატურად იშრომონ, უნერგავდეს ახალგაზრდობას მისწრაფებას სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას საზოგადოებისათვის საჭირო ფასეულობათა წარმოებაში".

პიონერთა ორგანიზაცია, მთელი საბჭოთა სკოლა მოწოდებულია სწორედ ამ გზით წარმართოს ბავშვთა აღზრდის საქმე.

ჩვენი რესპუბლიკის პიონერები ბეჯით სწავლასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით გვახარებენ. ათასობით პიონერები და მოსწავლეები ჩაბმული არიან არა მარტო სკოლასთან ორგანიზებულ სასარგებლო ფიზიკურ შრომაში, არამედ აგრეთვე აქტიურად შრომობენ კოლმეურნეობებში, ბაღებში, პლანტაციებში, ეხმარებიან მესაქონლეობის ფერმების მუშაკებს, ეუფლებიან ტექნიკას, სასწავლო პრაქტიკუმს გადიან მინდვრად, სახელოსნოებში, ბეჯითად სწავლობენ ხელსაქმეს, საოჯახო საქმეს.

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმის წარმატება უშუალოდ პიონერხელმძღვანელის ხელშია. პიონერხელმძღვანელებმა—კომკავშირის ამ საუკეთესო წარგზავნილებმა სკოლაში — ცოცხალი, მრავალფეროვანი, საინტერესო საქმიანობა უნდა გააჩაღონ. პარტიული ორგანიზაციის ვალია ყოველდღიური მზრუნველობას იჩენდეს პიონერული მუშაობისადმი სკოლაში, ხელმძღვანელობდეს და ეხმარებოდეს კომკავშირს მრავალფეროვანი ნაყოფიერი პიონერული მუშაობის მოწყობაში.

უპირველესი და ურთულესი ამოცანაა ნორჩი ლენინელების პოლიტიკური აღზრდა. ამ საქმეში გამოყენებულ უნდა იქნას ყველა ეფექტური მეთოდი. ბავშვებს უნდა ვუნერგავდეთ სამშობლოს სიყვარულს, სიძნელეთა გადალახვის ნებისყოფას. ძველ ბოლშევიკებთან, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის გმირებთან შეხვედრა, გამოჩენილი რევოლუციონერების ძეგლებთან მოწყობილი შეკრებები, საინტერესო ჩვენება და ახსნა-განმარტება კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა — ყველაფერი ეს უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა კომუნისტური აღზრდისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე რესპუბლიკებისა და დემოკრატიული ქვეყნების სკოლებთან კავშირს, რაც ხელს უწყობს ბავშვთა ინტერნაციონალურ აღზრდას. ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან თბილისის პიონერთა სასახლე, ბათუმისა და სხვა ქალაქების სკოლები.

ბედნიერია ჩვენი სამშობლოს პიონერთა მილიონიანი არმია, მთელი საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის მზრუნველობით გარემოსილი. იგი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობისა, კვლავაც აღზრდის კომუნიზმის მომავალ მშენებელ თაობას.

# ცაში ანთია მშვიდობის ახალი ვარსკვლავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის საერთო ხედი.

## დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის შესახებ

18 მაისის დილის ექვსი საათისათვის მესამე ხელოვნურმა თანამგზავრმა და მატარებელმა რაკეტმა 36-ჯერ შემოუარეს დედამიწას.

თანამგზავრზე დაკვირვება ყველა საშუალებით გრძელდება. მისი აპარატურა ნორმალურად მუშაობს და ყოველდღე აწვდის მარეგისტრირებელ სადგურებს დედამიწაზე დიდძალ ძვირფას მეცნიერულ ინფორმაციას. სამხრეთის სამეთვალყურეო ოპტიკური პუნქტებიდან მიღებულია თანამგზავრის გავლის პირველი აღნიშვნები.

20 მაისს დილის 6 საათისათვის მესამე ხელოვნურმა თანამგზავრმა და მისმა მატარებელმა რაკეტმა 63-ჯერ შემოუარეს დედამიწას. მესამე თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა და გადამცემი მოწყობილობანი ნორმალურად მოქმედებენ.

მესამე ხელოვნური თანამგზავრისა და მატარებელი რაკეტის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ ჩრდილოეთი განედის 2 გრადუსიდან 31 გრადუსამდე და მზის ამოსვლის წინ სამხრეთი განედის 49 გრადუსიდან 65 გრადუსამდე. (საკდესი).

## გზა კოსმოსისაკენ

★

**ე. ხარაძე,**
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

★

ცივილიზაციის ისტორიაში ცოტა როდი ყოფილა ისეთი მონაპოვარი, რომელსაც ძირეული ცვლილება შეუტანია ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, არსებითად გაუფართოებია მისთვის ბუნების მეცნიერული შეცნობის შესაძლებლობანი. მაგრამ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა შექმნა ადამიანის გონების ისეთი გამარჯვება და მის ხელთ არსებული ტექნიკური ძლიერების ისეთი მაგალითია, რომელიც განუზომლად უფრო მაღლა დგას, ვიდრე წარსულის ყველა სხვა აღმოჩენა.

სულ რამდენიმე თვემ განვლო მას აქეთ, რაც საბჭოთა რადიომ აუწყა მსოფლიოს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ამბავი. დღეს მოწმენი ვართ მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის სრბოლისა დედამიწის გარშემო. თუ შევადარებთ ერთიმეორეს პირველი და მესამე თანამგზავრების სიდიდეს, წონას, სრბოლის სიმაღლეს და სამეცნიერო-საკვლევი აპარატურით აღჭურვილობას, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რარიგ სწრაფად მიაბიჯებს წინ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა კაცობრიობის მოღვაწეობის ამ სრულიად ახალ, საბჭოთა ადამიანის მიერ პირველად გახსნილ ასპარეზზე.

ხელოვნური თანამგზავრების შექმნით უმაგალითო სიძლიერით გამოვლინდა ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობა. დღეს, როცა დედამიწის ზედაპირიდან 1.800 კილომეტრის სიმაღლეზე ფრინავს მთელი კოსმოსური ლაბორატორია, გვაოცებს არა მარტო ეს ფაქტი, არამედ კოსმოსის მეცნიერული შეცნობის პერსპექტივების სიღრმე.

ათასწლობით აკვირდებოდა კაცობრიობა დედამიწის ახლო და შორეულ გარემოს. მოვლენებს ატმოსფეროში და მნათობებს ცაზე, ჯერ უბრალო თვალით და მარტივი კუთხმზომი იარაღების საშუალებით, შემდგომ კი — ტელესკოპებით და სხვა მძლავრი ხელსაწყოებით შეიარაღებული. ამის შედეგად მან ბუნების მრავალ „საიდუმლოებას" მიაკვლია; გამოარკვია დედამიწის გარემომცველი ატმოსფეროს აგებულების მთავარი მახასიათებელნი, რაც — როგორც ორი პირველი თანამგზავრის არსებობის პირობებში დადასტურდა — ძირითადად სწორი აღმოჩნდა: ფარდა ახადა მრავალ კოსმოსურ საიდუმლოებას იმდენად, რომ მოახერხა ზოგი მოვლენის — მაგალითად, მზისა და მთვარის დაბნელებათა — უტყუარი წინასწარ გამოთვლაც კი.

მაგრამ მაინც ამასთან ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა ისეთი ამოცანების კვლევის გზაზე, რომელთა ამოხსნას დაბეჯითებით მოითხოვს საკაცობრიო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება. ამ დაბრკოლებათა დაძლევის საფუძველი იმაშია, რომ რაც შეიძლება ერთდროული, განუწყვეტელი და ხანგრძლივი დაკვირვება ვაწარმოოთ დედამიწის ატმოსფეროს მრავალ სხვადასხვა პუნქტში, სხვადასხვა განედსა და სიმაღლეზე. სწორედ ეს ძალუძს სათანადო აპარატურით აღჭურვილ, სწრაფად მსრბოლავ ხელოვნურ თანამგზავრს. ამ დაკვირვებათა განხორციელებით შესაძლებელია ატმოსფეროს თვისებათა რაც შეიძლება ღრმა და სრული შესწავლა. ხოლო ატმოსფეროს გარე სამყაროს — კოსმოსის ჯერ მიუკვლეველ საიდუმლოებათა ამოხსნისათვის ერთობ ეფექტიური გზა იქნება ცის მნათობთა დაკვირვება დედამიწის ატმოსფეროს გარედან, რათა თავიდან აცილებულ იქნას ატმოსფეროს გარდუვალი უარყოფითი გავლენა მნათობების სხივებზე. ამის განხორციელებაც ძალუძს სათანადო ტელესკოპებით და სპექტროგრაფებით აღჭურვილ ხელოვნურ თანამგზავრს.

პირველი გაბედული ნაბიჯები გადადგმულია. უეჭველია, რომ დიდი დრო არ გავა იმ დღემდე, როცა ერთ-ერთი მორიგი საბჭოთა თანამგზავრი დროებით დატოვებს დედამიწის მიზიდულობის არეს, მიაღწევს მთვარის გარემომცველ სივრცეს, გარს შემოუვლის მთვარეს, რომელიც ისეთი კანონზომიერებით მოძრაობს, რომ დედამიწისაკენ სულ ერთი და იმავე ნახევარსფეროთია მიქცეული. თანამგზავრზე დადგმული ფოტოაპარატურა გადაიღებს მთვარის მეორე ნახევრის ფოტოებს, იგი დაბრუნდება და მოუტანს მკვლევარს მთვარის აგებულების სარწმუნო ამბავს...

...უკეთეს პირობებშიც კი მანძილი დედამიწიდან მის მეზობელ ცთომილამდე — მარსამდე 50 მილიონ კილომეტრს აღემატება. მაგრამ, მეორე საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა თავისი არსებობის განმავლობაში, დედამიწის გარს სრბოლით დაჰფარა ამაზე თითქმის ორჯერ უფრო დიდი მანძილი. კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და... ერთ-ერთი შემდგომი კოსმოსური ლაბორატორია გაიჭრება მარსის მახლობელ სივრცეში და საბოლოო პასუხს მოუტანს კაცობრიობას მარსზე სიცოცხლის არსებობის კითხვაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე აღელვებს ადამიანის ცნობისმოყვარე გონებას.

ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვენი, უეჭველია, მოწმენი გახდებიან სხვა მრავალი დიდი აღმოჩენისა, სოციალისტური საზოგადოების ადამიანთა განთავისუფლებული და შეგნებული შრომის მრავალი გრანდიოზული გამარჯვებისა. ცოდნის შეუპოვარი დაგროვება, თავდადებული შრომა გადალახავს ყველა დაბრკოლებას უსაზღვრო სამყაროს შეცნობის ძნელად სავალ გზაზე.

* * *

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოძრაობის ელემენტებზე დაკვირვებებს, მათ მდებარეობათა და სიმაღლეთა ცვლილებების ზუსტ განსაზღვრას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, — შემდგომი, უფრო მნიშვნელოვანი თანამგზავრების შექმნისათვის საჭირო გამოცდილების მოპოვების თვალსაზრისით. ამგვარ დაკვირვებასა და განსაზღვრას ეწევიან სპეციალურად მოწყობილი სადგურები. ცოტა შრომა როდია გაწეული და ცოტა ნაყოფი როდია მოპოვებული დედამიწის პირველ ორ ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვებაში, კერძოდ, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ოპტიკურ სადგურებში. ამას წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის 37 თანამშრომელს გადაეცა ჯილდოს სახით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს საპატიო სიგელები და განსაკუთრებული სამკერდე ნიშნები. ასევე დაჯილდოებულ იქნენ ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვებაში ენერგიული და ნაყოფიერი მონაწილეობისათვის თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის სპეციალობის სტუდენტები და მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტების ასისტენტ-ლაბორანტები და მასწავლებლები.

მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დროისათვის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დამატებით მომზადდა ახალი ფოტოგრაფიული კამერა ავტომატური ჩამწერი მოწყობილობით, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს წარმოებულ განსაზღვრათა უფრო მაღალ სიზუსტეს. პირველი დაკვირვებანი დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნურ თანამგზავრზე აბასთუმანში შესრულდა თანამგზავრის სრბოლის მეორე და მესამე დღეს.

## ეს ჩვენი საბჭოთა თანამგზავრია!

★

### ახალი ეპოქის სიმბოლო

საბჭოთა ადამიანების გული კანონიერი სიამაყის გრძნობით არის აღვსილი: კოსმოსურ სივრცეში დაფრინავს დედამიწის მესამე საბჭოთა თანამგზავრი—ახალი ეპოქის სიმბოლო. ხორცი შეისხა გენიალური რუსი მეცნიერის კ. ციოლკოვსკის ოცნებამ — განხორციელდა კოსმოსში გაფრენა.

მესამე თანამგზავრი თავისი სიდიდით, წონითა და გასროლის სიმაღლით საერთო განცვიფრებას იწვევს. უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ სულ მცირე დროში თანამგზავრში მოთავსებულ სამეცნიერო აპარატურასთან ერთად ჩვენი მეცნიერები ისხდებიან და მათ უშუალო გადაცემებს მოვისმენთ. შორს არ არის ის დროც, როდესაც პირველად საბჭოთა მეცნიერები მთვარეზე და მარსზე დაფრინდებიან. ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ წარმოგვიდგენია, თუ რა უდიდესი დიდი შედეგი მოჰყვება ჩვენი მეცნიერების მიერ ატმოსფეროს ზედა შრეებისა და კოსმოსის სივრცის კვლევას.

ყველა საბჭოთა ადამიანის სურვილია, რომ ყოველივე ეს სულ მალე განხორციელდეს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

**პ. გამყრელიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

### სიამაყის გრძნობით

დედამიწის თანამგზავრების შემქმნელი საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების გამარჯვება, რომელიც ასე ნათელია ყველასათვის, თუნდაც ისინი ღრმად ვერ ერკვეოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში, გუშინ არ გამოჩენილა. იგი მომზადდა მთელი საბჭოთა მეცნიერების განვითარებით, მკვლევართა ბევრი კოლექტივის მრავალწლიანი დაუღალავი შრომით.

არ შეიძლება სიამაყის გრძნობამ არ შეგვიპყროთ, როცა დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მონაცემებს ვეცნობით: 1.327 კილოგრამი წონა, აქედან სამეცნიერო-ტექნიკური აპარატურისა — 968 კილოგრამი, სიმაღლე — 1.880 კილომეტრი. რა საცოდავად გამოიყურება დედამიწის მესამე საბჭოთა თანამგზავრის გვერდით რამდენიმე კილოგრამი წონის დედამიწის ამერიკული თანამგზავრი!

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფიქრობდნენ, რომ პირველად ისინი გაუშვებდნენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს. აკი სახელწოდებაც ამის გამომხატველი მისცეს — „ავანგარდი". მაგრამ რა მწარედ მოტყუვდნენ ისინი, ვინც ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლიათ სოციალიზმის ქვეყნის თავისუფალ ადამიანებს...

დღეს დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მოკლე რადიოსიგნალები ხმამაღლა, ნათლად მოუთხრობენ ყველას საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთ ახალ ტრიუმფზე.

**უჩა ჯაფარიძე,**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

### საბჭოთა ტექნიკის სიმძლავრე

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნა და გაშვება შესაძლებელი გახდა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა მეცნიერების შემოქმედებითი აზრის ფართო გაქანების შედეგად. ატმოსფეროს ზედა შრეებისა და კოსმოსის სივრცის გამომკვლევი უზუსტესი აპარატურით აღჭურვილი მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში ტექნიკის მძლავრ განვითარებასთან.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინჟინერთა კადრების მომზადების მაჩვენებლებითაც. ჩვენ სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობამ შეგვიპყრო, როცა ინჟინერთა კადრების მომზადების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას გავეცანით. ინჟინერთა გამოშვება საბჭოთა კავშირში 1950-1956 წლებში გაიზარდა 35 ათასი კაცით, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ამავე პერიოდში შემცირდა 27 ათასი კაცით.

დღეს კოსმოსში დაფრინავს დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი. ეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

**ლ. ქურდოვანიძე,**
სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი.



საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის უფროსი ტექნიკოსები ნ. ვოიცეკი (მარცხნივ) და ნ. კარიაკინი აწარმოებენ დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის რადიოდაკვირვებას და იქიდან გადმოცემული სიგნალების მაგნიტოფონზე ჩაწერას.

ფოტო ე. გინზბურგისა.

### კაცობრიობის გენიის ზეიმი

დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების შექმნა და წარმატებით გაშვება კოსმოსში ახალი ერის დასაწყისია კაცობრიობის კულტურის განვითარებაში. ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება საპლანეტთაშორისო სივრცის დამორჩილებაზე სავსებით რეალური გახდა.

საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებს ჩვენ ჩვენივე საწარმოს მაგალითითაც ვხედავთ. წინათ კუსტარული, პრიმიტიული ქარხანა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მანქანათმშენებლობის ერთ-ერთ წამყვან საწარმოდ გადაიქცა, სადაც მსოფლიოში პირველ ჩაისსაკრეფ მანქანებსა და თვითმავალ შასებს ამზადებენ.

ჩვენი გული უსაზღვრო სიხარულით აღივსო, როცა დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება შევიტყეთ. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირი არც კოსმოსის შესწავლაში დაუთმობს პირველობას ვინმეს.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფალური მიღწევები გამომდინარეობენ თვით სოციალისტური წყობილების ხასიათიდან, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარებისათვის.

საბჭოთა მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშები, კოლმეურნეები, სოციალისტური სამშობლოს ყოველი მშრომელი დაუღალავად შრომობენ, მთელ ძალებს წარმართავენ ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ, იქითკენ, რომ ჩვენ მოწინავენი ვიყოთ მიწაზეც და ცაშიც.

**ვ. კორძაძე,**
თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### უდიდესი ინტერესი

ამჟამად მთელ მსოფლიოში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს კოსმოსური სამყაროს შესასწავლად. ამ მხრივ საბჭოთა კავშირს ცენტრალური ადგილი უჭირავს. დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ავტორიტეტი.

მესამე ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობას შეუნელებელი ყურადღებით სწავლობს მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, რომელთა შორის ყველაზე ინტენსიურ მუშაობას საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ეწევიან.

მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას—ჩვენი ქვეყნის ამ გრანდიოზულ მიღწევას — აღფრთოვანებით შეხვდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მომუშავე მეცნიერი მუშაკები. ამ მოვლენამ უდიდესი ინტერესი აღძრა სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივშიც.

**დოც. ვ. ბეშიძე,**
სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

## მფრინავი კოსმოსური ლაბორატორია

დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი დიდი სამეცნიერო მოძრავი კოსმოსური ლაბორატორიაა. იგი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკის მიერ შექმნილი ძვირფასი იარაღ-ხელსაწყოებით. მათი დანიშნულების მიხედვით ლაბორატორიის აპარატურა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ხელსაწყოები, რომლებიც აღრიცხავენ მოვლენებს მზეზე და კოსმოსურ სივრცეში. ასეთებია, მაგალითად, კოსმოსური სხივების, მზის კორპუსკულარული გამოსხივების, მიკრომეტეორების და სხვა კოსმოსურ მოვლენათა შესასწავლი იარაღები.

მეორე ჯგუფს მიეწერება დედამიწის ატმოსფეროს ფიზიკური თვისებების, დედამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობის, თანამგზავრის შიგნითა და ზედაპირის ტემპერატურისა და მსგავს მოვლენათა შემსწავლელი იარაღები, აგრეთვე საკმაოდ ძლიერი გადამცემი, რომლის სიგნალების მიღება დედამიწის ზედაპირზე ყველგან შეიძლება და იგი დიდ სამსახურს უწევს იონოსფეროს სტრუქტურის შესწავლას.

მესამე ჯგუფს კი შეიძლება მივაკუთვნოთ დამხმარე აპარატურა, რომლის საშუალებითაც ხდება როგორც ამ უნიკალური იარაღ-ხელსაწყოების მართვა, ისე განსაზღვრა ფრიად საინტერესო მონაცემების გადაცემის რიგისა, რომელთა მიღებაც დედამიწაზე სპეციალური რადიოდანადგარებით ხდება. უდიდესი რაოდენობის გაზომვები უნდა გადმოცემულ იქნას ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში, რისთვისაც არსებობს სპეციალური რადიო-ტელემეტრიული სისტემა.

ჩვეულებრივი ტიპის დენის ელექტროქიმიურ წყაროებთან ერთად თანამგზავრზე დადგმულია ე. წ. მზის ბატარიები, რომლებიც უშუალოდ გარდაქმნიან მზის ენერგიას ელექტრულ ენერგიად, ამიტომ მათი მუშაობის ხანგრძლივობა დროით შეზღუდული არ არის.

როგორც ცნობილია, თანამგზავრი იწონის 1.327 კილოგრამს, ხოლო მასში მოთავსებული სამეცნიერო აპარატურა, ე. ი. ლაბორატორიის მთელი მოწყობილობა 968 კილოგრამს — თითქმის ერთ ტონას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წონის იარაღ-ხელსაწყოები ბევრ ჩვენს საშუალო ზომის ლაბორატორიებშიც კი არ დაეტევა. თუ ამას დავუმატებთ თანამგზავრისათვის სპეციალურად შექმნილ კომპაქტურ განსაკუთრებით მსუბუქი ლითონის შენადნობებისაგან დამზადებულ ხელსაწყოებს, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ თანამგზავრზე მოთავსებული იარაღ-ხელსაწყოებით შეიძლება დედამიწაზე რამდენიმე ლაბორატორიის მოწყობა.

ასეთი დიდი ლაბორატორია პირველად იქნა გაშვებული ატმოსფეროს გარე ფენებში 1.880 კილომეტრის სიმაღლეზე, სადაც ატმოსფერო ძლიერ გაიშვიათებულია. სწორედ ეს განაპირობებს ამ ხელსაწყოების წარმატებით გამოყენებას. ატმოსფერო დიდ სასარგებლო სამსახურს უწევს ადამიანს, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამავე დროს სწორედ ატმოსფერო უშლის ხელს მთელი რიგი კოსმოსური მოვლენების შესწავლას, ვინაიდან აქ ხდება სინათლის დიდი რაოდენობით შთანთქმა და გაბნევა. ულტრაიისფერ და უფრო მოკლე ტალღის მქონე სხივებს კი ატმოსფერო თითქმის სრულიად არ ატარებს. ამიტომ საჭიროა დაკვირვებათა წარმოება ატმოსფეროს გარე ფენებიდან.

ყველასათვის ცხადია მესამე საბჭოთა თანამგზავრის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. რასაკვირველია, ესოდენ დიდი, მოძრავი კოსმოსური ლაბორატორიის გაშვება ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევაა. საბჭოთა ადამიანებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ ამ მიღწევებით.

თანამგზავრის მოძრაობის შესწავლას დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს. ამიტომ საჭიროა განუწყვეტლივ წარმოებდეს ვიზუალური და ფოტოგრაფიული დაკვირვებანი თანამგზავრის მდებარეობაზე. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დედამიწის თანამგზავრებზე ვიზუალური დაკვირვების სადგურის დანიშნულებას სწორედ ეს უკანასკნელი ამოცანა წარმოადგენს (საქართველოში ასეთივე სადგურები არსებობს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან).

სადგური აღჭურვილია სათანადო იარაღ-ხელსაწყოებით. ვინაიდან თანამგზავრის დანახვა მხოლოდ ბინდში შეიძლება (დღისით ხელს გვიშლის ცის ნათება, ღამით კი თანამგზავრი დედამიწის ჩრდილში იმყოფება), ამიტომ სადგურს შეუძლია თანამგზავრზე დაკვირვება, თუ დილის ან საღამოს ბინდის დროს თბილისის ჰორიზონტიდან მისი კუთხური ამაღლება 20 გრადუსამდე მაინც არის. ეს მომენტი დაახლოებით წინასწარ არის ცნობილი, რადგანაც მას მოსკოვის სპეციალური გამოთვლითი ცენტრი ანგარიშობს. სადგურის დანიშნულებაა განსაზღვროს თანამგზავრის მდებარეობა ვარსკვლავების მიმართ და ზუსტად მიუთითოს ამ მდებარეობის შესაბამისი ზუსტი დრო. დაკვირვების მომენტისათვის მოსკოვიდან სპეციალურად გადმოსცემენ ზუსტი დროის სიგნალებს, რომელთა მიღება სადგურს შეუძლია როგორც პირდაპირი ხაზის ტელეფონით, ისე რადიომიმღებით.

განსაზღვრული მდებარეობანი სათანადო მომენტებით (ერთი გავლის დროს შეიძლება რამდენიმე მდებარეობა განისაზღვროს) დეპეშით ეგზავნება მოსკოვის სათანადო ცენტრს, სადაც ხდება თანამგზავრის ორბიტის ელემენტების გამოთვლა და დაზუსტება.

სადგურის მუშაობაში ჩაბმული არიან მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტების თანამშრომლები (დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები), აგრეთვე ასტრონომიის სპეციალობის უფროსი კურსის სტუდენტები.

ჩვენი სადგური განაგრძობს დაკვირვებას, აგრეთვე აწარმოებს თანამგზავრიდან გადმოცემული რადიოსიგნალების მიღებასა და ჩაწერას. მესამე ხელოვნური თანამგზავრის დანახვა თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებში შესაძლებელი იყო 16 მაისს საღამოს 9 საათსა და 44 წუთზე. რაც შეეხება სიგნალების მიღებას, ეს შესაძლებელია ყოველთვის, დღეღამეში რამდენჯერმე.

**გ. კვირკველია,**
დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე ვიზუალური დაკვირვების სადგურის უფროსი.



დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ვიზუალური დაკვირვების სადგური თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სურათზე: მეცნიერი თანამშრომლები ამზადებენ ოპტიკურ ხელსაწყოებს დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის დაკვირვების საწარმოებლად.

ფოტო ვ. ზარიძისა.

# საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია

ამ დღეებში უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიეძღვნა დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: საერთაშორისო გეოფიზიკური წლის მომწყობი საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. პ. ბარდინმა, ამ კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. კ. ფედოროვმა და მეცნიერებათა კანდიდატმა, იონოსფეროს კვლევის დარგის სპეციალისტმა ვ. მ. ვახნინმა.

პროფესორმა ე. კ. ფედოროვმა გააკეთა ინფორმაცია მესამე საბჭოთა თანამგზავრის შესახებ, სამეცნიერო-საკვლევი მოწყობილობისა და აპარატურის შესახებ, რომლებითაც აღჭურვილია თანამგზავრი.

— თავისი გაბარიტებით, — თქვა მან, — მესამე თანამგზავრი მსუბუქ ავტომობილს მოგვაგონებს. ამ თანამგზავრს დიდი წონა აქვს და მნიშვნელოვანი ზომისაა.

კითხვაზე, თუ ვარაუდით რამდენ ხანს იარსებებს მესამე თანამგზავრი, პროფესორმა ფედოროვმა უპასუხა, ეს თანამგზავრი მეორეზე უფრო დიდხანს იარსებებსო. უფრო დიდხანს იმუშავებს აგრეთვე მესამე თანამგზავრის აპარატურა.

ჟურნალისტების ბევრი შეკითხვა ეხებოდა თანამგზავრის დედამიწაზე დაბრუნების შესაძლო პერსპექტივას. განმარტებულ იქნა, რომ ამ საკითხს იკვლევენ სსრ კავშირსა და უცხოეთში. ამ ამოცანის გადაწყვეტა პრინციპულად შესაძლებელია თქვა პროფესორმა ფედოროვმა, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გადაჭრილი. (საკ-ტესი).

## მორიგეობენ რადიომოყვარულები

დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობას საბჭოთა რადიომოყვარულები. თბილისის რადიოკლუბში მესამე ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დღიდანვე მიმდინარეობს დაკვირვება. რადიომოყვარულები უ. ბერძენიშვილი, ს. კიკნაძე, გ. კუჭაიძე და ი. გიტელზონი სისტემატურად მორიგეობენ სპეციალურ ხელსაწყოებთან საბჭოთა „მთვარიდან" სიგნალების მისაღებად.

16 მაისს რადიომოყვარულმა ბერძენიშვილმა 21 საათსა და 01 წუთზე ადგილობრივი დროით დაიჭირა საბჭოთა თანამგზავრის სიგნალი, რომელიც ისმოდა ერთი წუთისა და 15 წამის განმავლობაში.

თბილისელ რადიომოყვარულებს უკვე საკმაო რაოდენობით აქვთ მიღებული სიგნალების ჩანაწერები დედამიწის პირველი და მეორე თანამგზავრებიდან. ამ ჩანაწერებს ისინი უგზავნიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

დედამიწის პირველი და მეორე თანამგზავრებიდან სიგნალების მიღებაში აქტიური მონაწილეობისათვის თბილისელ რადიომოყვარულს სტუდენტ ს. კიკნაძეს მიენიჭა ჟურნალ „რადიოს" პრიზი.




დედამიწა მესამე თანამგზავრს: გზა მშვიდობისა, ჩემო თანამგზავრო!

ნახატი გ. ფირცხალავასი.

## გიგანტური ნაბიჯებით

თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის საამაყოა, რომ მესამე თანამგზავრი თითქმის 50-ჯერ აღემატება სამივე ამერიკული თანამგზავრის საერთო წონას.

სამეცნიერო აპარატურა, რომელიც დადგმულია თანამგზავრზე, საშუალებას იძლევა ფართოდ იქნას შესწავლილი მთელი რიგი ფიზიკური, გეოფიზიკური და ასტრონომიული პრობლემები.

თანამგზავრში დადგმული აპარატურიდან ყურადღებას იპყრობს საბჭოთა მკვლევარების მიერ შემუშავებული ახალი ტიპის ელექტრომკვებავი წყაროები, სახელდობრ მზის ბატარია, რომელიც მზის სხივების ენერგიას უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნის. საბჭოთა თანამგზავრების წონის განუწყვეტელი ზრდა მოწმობს ჩვენი რაკეტული ტექნიკის გიგანტური ნაბიჯებით განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს და უმაგალითო მიღწევებს.

ახლა უკვე არსებობს პირობა გაშვებულ იქნას რაკეტი დედამიწის მიმზიდველობის ფარგლებს იქით კოსმოსში.

**დოც. გ. მირიანაშვილი,**
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ნივთიერების აღნაგობის კათედრის გამგე.

## მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს...

საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება დიდი და სასიხარულო მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც.

ცნობამ საბჭოთა კავშირში დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შესახებ დიდად გაახარა.... დიდად გაახარა მთელი ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხი, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. ზოგიერთ ადამიანს, ისეთებს, როგორიც დალესია, არ ახარებს ეს მოვლენა. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ასეთი დიდი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება შესაძლებელი იყო მხოლოდ მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის მეშვეობით.

**გო მო-ჟო,**
ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

* * *

დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა თავისი წონით, ორბიტით, სამეცნიერო აპარატურით და გამოკვლევათა პროგრამით დიდად ჩამოიტოვა უკან მეორე თანამგზავრი. ეს მოწმობს თანამედროვე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ძლიერებას. ჩვენ, ჩინელი მეცნიერები, გულითადად ვულოცავთ საბჭოთა ხალხს.

**ჯაო ძიუ-ჯანი,**
ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

* * *

დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება მოულოდნელი არ არის. საბჭოთა კავშირის მეგობრებმა იციან, რომ საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ ჩერდებიან შუაგზაზე. სავსებით კანონზომიერია, რომ პირველი ორი თანამგზავრის შემდეგ კოსმოსში გაშვებულ იქნა მესამე, რომელიც გამოირჩევა დიდი წონით და აღჭურვილია კიდევ უფრო სრულყოფილი აპარატურით. საბჭოთა ადამიანებმა კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სამამულო მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა მეგობრების ღირსშესანიშნავი გამარჯვება მოწმობს მათი სამშობლოს და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, ახალ ძალებს მატებს და ახალ რწმენას უნერგავს გულში მშვიდობისათვის მებრძოლთ. აღმოსავლეთის ქარი დასავლეთის ქარზე ძლიერია!

**ვან ი,**
გაზეთ „ჟენმინჟიბაოს" მთავარი რედაქტორის მოადგილე.

* * *

მივესალმები დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის გაშვებას, როგორც მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე თვალსაჩინო გამარჯვებას. ამასთან დაკავშირებით მივესალმები საბჭოთა კავშირის მთელ ხალხს, რომელიც საყოველთაო მშვიდობის სადარაჯოზე დგას, და სულით და გულით ვუსურვებ, რომ მისი მშვიდობისმოყვარული მისწრაფებები დაგვირგვინებულიყოს ისეთივე წარმატებით, როგორიც არის ახალი ვარსკვლავის გზა სამყაროში.

დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის წარმატებით გაშვება განსაკუთრებით ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საბჭოთა ხალხისათვის მიუღწეველი წარმატებები არ არსებობს.

**ზდენეკ ნეედლი,**
ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

* * *

მე ისევე როგორც ჩემი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს, უაღრესად მახარებს საბჭოთა მეცნიერების ახალი ბრწყინვალე წარმატება. საბჭოთა კავშირის ყოველი ასეთი მიღწევა, ყოველი ასეთი წარმატება ამრავლებს ჩვენს ძალებს, განამტკიცებს მშვიდობის საქმის გამარჯვების რწმენას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ჩვენი სოციალისტური წყობა ქმნის უკეთეს, უფრო ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარებისათვის. დედამიწის საბჭოთა თანამგზავრები ამის საუცხოო დადასტურებაა.

**სტანისლავ რიშარდ დობროვოლსკი,**
პოლონელი მწერალი.

* * *

მესამე თანამგზავრის გაშვება უდიდესი და ყველაზე ამაღელვებელი ახალი ამბავია. საბჭოთა ქვეყანა უმაგალითოდ მოკლე ვადებში აწარმოებს ერთიმეორეზე უფრო მნიშვნელოვან მეცნიერულ ექსპერიმენტებს, რაც მოწმობს ინდუსტრიულ სიძლიერესა და მეცნიერების პროგრესს საბჭოთა კავშირში, რომლის მიღწევები მთელი კაცობრიობის კუთვნილება ხდება.

**გულზარილალ ნანდა,**
ინდოეთის მთავრობის შრომის მინისტრი.

* * *

რუსებმა გაგვისწრეს. შეერთებული შტატები მხოლოდ ერთი წლის ან წლინახევრის შემდეგ შეძლებენ გაიყვანონ ორბიტაზე ისეთივე ზომის ხელოვნური თანამგზავრი, როგორიც ახალი საბჭოთა თანამგზავრია.

**დოქტორი ვერნერ ფონ ბრაუნი (აშშ),**
ცნობილი სპეციალისტი რაკეტების დარგში.

* * *

ახალი რუსული თანამგზავრის დიდმნიშვნელოვანი მხარეა მისი ზომა. ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად ყველა ცდა, რომლებიც ცალცალკე ჩატარდა უფრო მცირე ზომის თანამგზავრებზე, ახლა ერთად გაკეთდება ერთ დიდ თანამგზავრზე.

**დოქტორი ჯოზეფ კაპლანი,**
ამერიკელი მეცნიერი, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

* * *

უსაზღვროდ მოხარული ვარ საბჭოთა ადამიანების უდიდესი გამარჯვების გამო. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მესამე ხელოვნური მთვარე ამაყად დასცქერის თავის ფრიად მინიატიურულ ამერიკელ თანამოძმეებს.

**ელენ შარლოტა გენიენი,**
კანადის გაზეთ „რეფორმის" რედაქტორი.

* * *

ეს სავსებით განსაცვიფრებელია! თანამგზავრი აღჭურვილია ახალი აპარატურით, ამიტომ შეიძლება მოველოდეთ, რომ იგი ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემს კოსმოსის შესწავლაში. თანამგზავრი ძალიან დიდი ზომისაა, ამიტომ ვფიქრობ, რომ მას ძალიან კარგად დავინახავთ იაპონიაში.

**მიაძი,**
ტოკიოს ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი.

* * *

დედამიწის მესამე მძლავრი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება მარტო საბჭოთა ადამიანების გამარჯვება როდია. ეს მთელი პროგრესული კაცობრიობის ახალი გამარჯვებაა, ომის ძალებზე მშვიდობის ძალების დამაჯერებელი გამარჯვებაა. იგი მოწმობს პროგრესული ძალების ურყევ ძლიერებას, განამტკიცებს მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის დიადი იდეების გამარჯვების რწმენას. დარწმუნებული ვარ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა პატიოსანი ადამიანი განიცდის დაუვიწყარ წუთებს, ამაყობს საბჭოთა მეგობრების მიღწევებით. ისინი კიდევ უფრო აქტიურად დაიცავენ მშვიდობის პოლიტიკას, უფრო მტკიცედ იბრძოლებენ ძალის პოლიტიკისა და ინტერვენციის წინააღმდეგ.

**ლუი სოარესი,**
მექსიკის ყოველკვირეული გაზეთის „მანიანას" რედაქტორი.

## ორბიტზეა დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრი

კაცობრიობა ჯერ კიდევ დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, როცა ჩვენს მშობლიურ მიწას მოსწყდა მეორე თანამგზავრი. რამდენიმე თვის შემდეგ ამას მოჰყვა დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება. მესამე თანამგზავრი წარმოადგენს ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას, რომლის საშუალებით საბჭოთა მეცნიერები აგრძელებენ ატმოსფეროს ზედა ფენების შესწავლას საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის შესაბამისად. იბადება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს ზედაფენების შესწავლას?

ცნობილია, რომ ატმოსფერო შედგება სამი ძირითადი ფენისაგან: ტროპოსფეროს, სტრატოსფეროსა და იონოსფეროსაგან. თვითეული ეს ფენა ხასიათდება მკვეთრად განსაზღვრული თავისებურებებით.

ატმოსფეროს ქვედა ფენაში — ტროპოსფეროში 8-16 კილომეტრამდე დედამიწის ზედაპირიდან თავმოყრილია ჰაერის მთელი მასის 90 პროცენტზე მეტი. ტროპოსფერო „ამინდის ნამდვილი სამჭედლოა". აქ წარმოიშობა წვიმა, თოვლი, სეტყვა და ბუნების სხვა მოვლენები.

ტროპოსფეროს შემდეგ იწყება სტრატოსფერო, რომელიც გრძელდება 80-100 კილომეტრ სიმაღლემდე. რაც უფრო შორს მივდივართ ამ ფენაში, მით უფრო ნაკლებად იგრძნობა დედამიწის ზედაპირის ზეგავლენა, სამაგიეროდ სულ უფრო იზრდება კოსმოსური სივრცის პროცესების მოქმედება. სტრატოსფეროში მცირე რაოდენობით მოიპოვება წყლის ორთქლი, იშვიათად გამოჩნდება ღრუბელი და სხვ.

ატმოსფეროს ყველაზე მაღალი ფენა — იონოსფერო წარმოადგენს სტრატოსფეროს გაგრძელებას. იგი იწყება დედამიწის ზედაპირიდან 80-100 კილომეტრ სიმაღლეზე და აღწევს 1.100 კილომეტრს. მიუხედავად დიდი სიმაღლისა, იონოსფეროში მოთავსებულია ატმოსფეროს მასის უმნიშვნელო ნაწილი. მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს ამ ფენის მნიშვნელობას. იონოსფეროშია ჰაერის იონიზირებული ფენა, რომელიც არეკლავს რადიოტალღებს და საშუალებას გვაძლევს კავშირი დავამყაროთ ყოველგვარ მანძილზე. ეს ფენა აჩერებს და ჩვენამდე არ უშვებს მავნე კოსმოსურ გამოსხივებას.

როგორც ცნობილია, მზე უშვებს არა მარტო ხილულ სხივებს, რომლებიც თავისუფლად გადიან ატმოსფეროს ყველა ფენაში, არამედ უხილავ სხივებსაც — რადიოტალღებს, რენტგენის, ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებს, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ აღწევენ ჩვენამდე. მათი დიდი ნაწილი შთაინთქმება და განიბნევა ატმოსფეროში.

დღემდე მეცნიერებმა შეძლეს კარგად გამოეკვლიათ ატმოსფეროს ქვედა ფენები 30 კილომეტრის სიმაღლემდე. ამაში მათ დაეხმარა აეროსტატები,



თვითმფრინავები, ხოლო უფრო გვიან საჰაერო ზონდები. ავიაციის, რადიოს, ტელევიზიის, ბირთვული ფიზიკის, მეტეოროლოგიის, ასტრონომიის, ასტროფიზიკის, რადიოფიზიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების შემდგომმა განვითარებამ მოითხოვა დედამიწის მთელი ატმოსფეროს და მისი მომიჯნავე კოსმოსური სივრცის ყოველმხრივი შესწავლა.

ჩვენს ქვეყანაში რაკეტული ტექნიკის მძლავრმა განვითარებამ საბჭოთა მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა დაეწყოთ ატმოსფეროს მაღალი ფენების მეცნიერული შესწავლა. ლაშქრობა ატმოსფეროს ზედა ფენებში დაიწყო გასული წლის 4 ოქტომბერს, როცა დედამიწას მოსწყდა და კოსმოსისაკენ გაემართა დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი. სულ მალე მას მოჰყვა მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, ხოლო მიმდინარე წლის 15 მაისს ორბიტზე გავიდა მესამე თანამგზავრი.

პირველ და მეორე თანამგზავრზე მოთავსებულ სპეციალურ აპარატურათა საშუალებით შესაძლებელი გახდა მიგველო პირველი უაღრესად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის მონაცემები ატმოსფეროს ზედა ფენების მოვლენებზე. დედამიწის პირველი და მეორე თანამგზავრების მონაცემებიდან გამოირკვა, რომ ატმოსფეროს ტემპერატურა 225 კილომეტრ სიმაღლეზე უფრო დიდია იმაზე, ვიდრე წინათ ეგონათ. იონოსფეროს კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ატმოსფეროს ამ ფენებში გავლისას ადგილი აქვს რადიო-ტალღების არეკვლის, მათი ნაწილობრივი და სრული შთანთქმისა და გავრცელების გზების გამრუდების მოვლენებს. ამიტომ რადიომეთოდები ატმოსფეროს ზედაფენების გამოკვლევის ყველაზე ეფექტური საშუალება გახდა.

საინტერესო მონაცემებია მიღებული კოსმოსური სხივების გამოკვლევის დარგში. ამ სხივებზე დაკვირვებამ მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა მოეხდინათ ამ გამოსხივების ინტენსივობის ვარიაციებისა და მთელი რიგი სხვა მოვლენების რეგისტრაცია. დედამიწის პირველი ორი თანამგზავრის მდიდარი მონაცემები პირველად იძლევიან შესაძლებლობას მთელი სისრულით გამოკვლეულ იქნას პირველადი კოსმოსური გამოსხივება. ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამგზავრებიდან მიღებული მონაცემები ბიოლოგიურ საკითხებზე. დედამიწის მეორე თანამგზავრში მოთავსებულ საცდელ ცხოველზე დაკვირვებით გამოირკვა, რომ როგორც ორბიტზე თანამგზავრის გაყვანის პერიოდი, ისე პირობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ორბიტზე მოძრაობის დროს, ცხოველმა დამაკმაყოფილებლად გადაიტანა. მაგრამ ეს მონაცემები ჯერ კიდევ ვერ იძლევიან ამომწურავ სურათს იმ პირობების შესახებ, რომლებიც აუცილებელია მომავალ საპლანეტთაშორისო გაფრენებში ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის საიმედო ღონისძიებათა შემუშავებისათვის.

მართალია, დედამიწის პირველი ორი თანამგზავრის მონაცემებმა მნიშვნელოვნად შეავსო ადამიანის ცოდნა ატმოსფეროს და კოსმოსური სივრცის შესახებ, არსებითი შესწორებანი შეიტანა ჩვენს წინანდელ წარმოდგენებში, მაგრამ ყოველივე ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. ატმოსფეროს ზედა ფენებისა და კოსმოსური სივრცის საიდუმლოებით მოცულ საკითხებზე უფრო სრული პასუხის გაცემა მომავალს ეკუთვნის. ამ საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრი.

დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრი წარმოადგენს გიგანტურ ლაბორატორიას, რომლის წონა შეადგენს 1.327 კილოგრამს — პირველი და მეორე თანამგზავრების საერთო წონაზე 2,5-ჯერ მეტს.

(ამერიკის სამი თანამგზავრის საერთო წონა კი შეადგენს 36 კილოგრამს).

ახალი თანამგზავრი აღჭურვილია მთელი რიგი სპეციალური აპარატურით, რომლის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს ორბიტზე ისეთი მოვლენების გამოკვლევა, როგორიც არის: ზედა ფენებში ატმოსფეროს წნევა და შედგენილობა, დადებითი იონების კონცენტრაცია, თანამგზავრის ელექტრული მუხტის სიდიდე და დედამიწის ელექტროსტატიკური არისა და მაგნიტური არის დაძაბულობა, პირველადი კოსმოსური გამოსხივების შედგენილობა და ვარიაციები, კოსმოსურ სხივებში ფოტონებისა და მძიმე ბირთვების განაწილება, მიკრომეტეორები, თანამგზავრის შიგნითა და ზედაპირის ტემპერატურა და სხვ.

დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი ახალი ეტაპია ატმოსფეროს ზედაფენების ფართო მეცნიერული კვლევისა და კოსმოსური სივრცის შესწავლის საქმეში, თვალსაჩინო წვლილია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

საბჭოთა მეცნიერებამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან პირველმა შეაღო ცის სარკმელი და წარმატებით ეუფლება მის კანონზომიერებებს, რათა დაიმორჩილოს და ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენოს ბუნების ახალი მძლავრი ძალები.

**დოც. ტ. გუნჯუა,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

## ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში...

**ბ ა თ უ მ ი. (საკ. კორ.).** ცნობა დედამიწის ახალი მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა. ამ სასიხარულო და თანაც საამაყო ამბავს მხურვალე მოწონებით შეხვდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მუშა და კოლმეურნე, აგრონომი და ინჟინერი, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკი, ყველა საბჭოთა ადამიანი.

სულ რაღაც ნახევარ წელზე ცოტა მეტი დროის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გაშვებულია დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც თავისი წონითა და აპარატურის სირთულით ბევრად განსხვავდება პირველი ორი საბჭოთა თანამგზავრისაგან.

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე ვიზუალური დაკვირვების სადგურის უფროსმა დოცენტმა ნელი კალანდაძემ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება ახალ, კიდევ უფრო საინტერესო ეტაპს მოასწავებს კოსმოსის სივრცის გამოკვლევის დარგში — იგი ნათლად მეტყველებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო აღმავლობაზე, იმაზე, რომ საბჭოთა მეცნიერები ინტენსიურად ავითარებენ რაკეტულ ტექნიკას. მესამე თანამგზავრის გაშვებით საბჭოთა მეცნიერებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებაში.

საბჭოთა მეცნიერები თავიანთ უბადლო მიღწევებს უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებიც ესოდენ დიდ ზრუნვას იჩენენ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისადმი. ეს ნათლად იგრძნობა თუნდაც ჩვენი პატარა ვიზუალური სადგურის მაგალითზე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო აპარატურითა და ხელსაწყოებით.

17 მაისს ბათუმს მეორედ გადაუარა მესამე თანამგზავრმა. პირველი ცნობა თანამგზავრზე დაკვირვებისათვის სადგურმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოდან მიიღო 16 მაისს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ თანამგზავრზე წარმატებით დაკვირვებისათვის, მაგრამ ჟამინდობამ ხელი შეგვიშალა. პირველი დაკვირვება მესამე თანამგზავრზე სადგურმა განახორციელა 17 მაისს, როდესაც დროის ორი მომენტისათვის განსაზღვრულ იქნა თანამგზავრის ხილული სიკაშკაშე.

მუშაობაში გვეხმარება პირველ ორ თანამგზავრზე ხანგრძლივი დაკვირვების ერთგვარი გამოცდილება. საკმარისია ითქვას, რომ სადგურის დამკვირვებლების მიერ დღემდე ფიქსირებულია დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა 30 მდებარეობა და გავლის ზუსტი მომენტი. ჩვენი დამკვირვებლების მუშაობა სათანადოდ შეფასდა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულმა საბჭომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა სადგურის 8 მუშაკი, ხოლო ათობით კაცი — სამკერდე ნიშნით „საერთაშორისო გეოფიზიკური წელი", ფულად ჯილდოზე კი წარდგენილია სამი სტუდენტი. ამჟამად ინსტიტუტის მთავარი კორპუსის თავზე დაკვირვების სადგურისათვის ეწყობა სპეციალური მოედანი. ამრიგად, სადგურში შეიქმნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაფერისი ბაზა. ათობით სტუდენტი და მეცნიერი მუშაკი აქტიურად იყო ჩაბმული წინა თანამგზავრზე დაკვირვების საქმეში. ახლა მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა კიდევ უფრო მეტი ინტერესითა და ენერგიით განახორციელონ დაკვირვება მესამე თანამგზავრზე.

მიღებულია ღონისძიებანი, რათა ინსტიტუტთან არსებული დაკვირვების სადგური გადაიქცეს სამეცნიერო-საკვლევ ბაზად და დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვებანი შეტანილ იქნას ინსტიტუტის ძირითად სამეცნიერო-საკვლევ პრობლემებში.

## ამ ციფრებს კომენტარი არ ესაჭიროება

**დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები**

| | გაშვების თარიღი | წონა |
|---|---|---|
| პირველი თანამგზავრი | 1957 წლის 4 ოქტომბერი | 83,6 კილოგრამი |
| მეორე თანამგზავრი | 1957 წლის 3 ნოემბერი | 508,3 კილოგრამი |
| მესამე თანამგზავრი | 1958 წლის 15 მაისი | 1.327 კილოგრამი |
| საბჭოთა კავშირმა კოსმოსში გაუშვა სამი მფრინავი სამეცნიერო ლაბორატორია, რომელთა საერთო წონაა | | 1.918,9 კილოგრამი |

**დედამიწის ამერიკული ხელოვნური თანამგზავრები**

| | გაშვების თარიღი | წონა |
|---|---|---|
| პირველი თანამგზავრი | 1958 წლის 31 იანვარი | 14 კილოგრამი |
| მეორე თანამგზავრი | 1958 წლის 17 მარტი | 1,5 კილოგრამი |
| მესამე თანამგზავრი | 1958 წლის 26 მარტი | 14 კილოგრამამდე |
| ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორბიტაზე გაიყვანეს სამი თანამგზავრი, რომელთა საერთო წონაა | | 29,5 კილოგრამი პირველი და მესამე თანამგზავრის წონაში შეტანილია მატარებელი რაკეტების წონა. |

თანამგზავრის წონა მარტო მისი გამშვები რაკეტის სიმძლავრის მაჩვენებელი როდია. წონის პირდაპირ პროპორციულია მფრინავი კოსმოსური ლაბორატორიის მეცნიერული მნიშვნელობაც. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს საბჭოთა თანამგზავრების, განსაკუთრებით მესამე თანამგზავრის შესანიშნავი აღჭურვილობა სამეცნიერო ხელსაწყოებით.




დაავადება.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა მთავრობის ნოტა იაპონიის მთავრობისადმი

1958 წლის 15 მაისს სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა იაპონიაში ე. გ. ზაბროდინმა ინახულა იაპონიის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი იამადა და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო უდასტურებს თავის პატივისცემას იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავისი მთავრობის დავალებით პატივი აქვს მიმართოს შემდეგ საკითხზე.

ამ ბოლო დროს იაპონიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები და იაპონიის პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ გამოთქმული აზრები, რომლებიც მოწმობენ, რომ იაპონიის ტერიტორიაზე შეაქვთ ატომგულის იარაღი და ამ იარაღის დანიშნულებისამებრ მისატანი საშუალებანი (თვითმფრინავები, რაკეტები და სხვ.). კერძოდ, იაპონიის გაზეთების ცნობით, იაპონიის პარლამენტის დეპუტატმა ბ-ნმა კამედამ ა. წ. 31 იანვარს მრჩეველთა პალატაში განაცხადა, რომ „ჯონსონის ბაზის თვითმფრინავები „ბ-47" შესაბამისად აღჭურვილი არიან ატომური ბომბებით და სამართავი იარაღით". შემდეგ, 13 მარტს, პარლამენტის დეპუტატმა ბ-ნმა აოიამ აგრეთვე განაცხადა წარმომადგენელთა პალატის კაბინეტის საქმეთა კომისიაში, რომ „ახლა ივაკუნის ბაზაში (ხიროსიმის პრეფექტურა) არის ატომური და წყალბადის ბომბებით შეიარაღებული ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ბომბდამშენები". ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსმა ბ-ნმა ცუსიმამ, სიტყვა წარმოთქვა რა 17 მარტს მრჩეველთა პალატის საბიუჯეტო კომისიაში, აღიარა, რომ ბომბდამშენებს „ბ-57", რომლებიც განლაგებული არიან იაპონიაში ამერიკის ზოგიერთ ბაზაში, ნამდვილად შეუძლიათ ატომგულის იარაღის ტარება.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობით ცდილობს არ დაუშვას რაკეტულ-ატომური ომის დაწყება, წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი, რომ აიკრძალოს ატომგულის იარაღი, აგრეთვე მისი გამოცდა, აიკრძალოს კოსმოსის სივრცის სამხედრო მიზნით გამოყენება და ლიკვიდირებულ იქნას უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, აგრეთვე მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ყველაზე გადაუდებელ საკითხთა განსახილველად. იმისათვის, რომ პრაქტიკული დასაბამი მიეცეს ატომგულის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტას და ამით პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგას გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ა. წ. 31 მარტს მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობად იაპონიის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მიესალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აღნიშნულ დადგენილებას, აგრეთვე იაპონიის მთავრობის განცხადება, რომ იაპონია გულწრფელად გამოთქვამს სურვილს, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით.

მაგრამ იაპონიის პრესის ზემოხსენებული ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონიის ტერიტორიაზე არსებობს ატომგულის იარაღი და დანიშნულებისამებრ მისი მიტანის საშუალებანი, ეწინააღმდეგება იაპონიის მთავრობის ამ განცხადებებს. აცხადებს რა ამას, საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს, რომ აღნიშნული ცნობები არ უარუყვიათ იაპონიის მთავრობას და რომ, მაშასადამე, ამ ცნობებს საფუძველი აქვს.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია იაპონიის მთავრობის ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ცნობებმა იაპონიის ტერიტორიაზე ატომგულის იარაღისა და ამ იარაღის მისატანი საშუალებების განლაგების შესახებ გასაგები შეშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის ხალხებში, რადგან ასეთი ნაბიჯები იაპონიის მხრივ საფრთხეს შეუქმნიდნენ მშვიდობასა და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში, რასაც საბჭოთა კავშირი გვერდს ვერ აუვლის.

სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ საკითხს, საბჭოთა მთავრობა მადლობელი იქნება ცნობისათვის, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ზემოხსენებული განცხადებანი იაპონიის ტერიტორიაზე ატომგულის იარაღის, აგრეთვე ამ იარაღის მისატანი თვითმფრინავებისა და რაკეტების შეზიდვის შესახებ".

# ს ა კ დ ე ს ი ს  გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იმ ამბებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს ლიბანში ხდება, მოდის ცნობები, რომ ზოგიერთი უცხო სახელმწიფო ცდილობს ეს ამბები გამოიყენოს ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, ახლო აღმოსავლეთის არაბთა სახელმწიფოებზე ახალი ზემოქმედებისათვის.

ფაქტები მოწმობენ, რომ აღნიშნული სახელმწიფოები, რომლებმაც ისარგებლეს ლიბანის ამბებით, ახალ შეთქმულებას აწყობენ ახლო აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ამჯერად მათ თავიანთი ხრიკების ობიექტად აირჩიეს არაბთა პატარა ქვეყანა ლიბანი.

როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, ეს უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს საელჩოები ბეირუთში დაემსგავსნენ არა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, რომლებიც განაგებენ თავიანთი ქვეყნების ურთიერთობას სუვერენულ ლიბანის სახელმწიფოსთან, არამედ უფრო კოლონიზატორთა შტაბებს, რომლებიც უთანხმდებიან რეაქციულ ანტიეროვნულ ელემენტებს ლიბანში, უხეშად ერევიან ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში და ცდილობენ იმბრძანებლონ იქ, თითქოს კოლონიასთან ჰქონდეთ საქმე.

ამერიკის მე-6 სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღო ბრძანება სასწრაფოდ წავიდეს ლიბანის ნაპირებისაკენ. დაჩქარებით ზრდიან ამერიკის სარდლობის სადესანტო ძალებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და ამზადებენ ლიბანის სანაპიროზე ამერიკის ქვეითი ჯარების შენაერთების გადასხმას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, ლიბანში იგზავნება ამერიკის იარაღი, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ დათრგუნონ მშვიდობიანი არაბი მოსახლეობა კოლონიზატორთა ნაცადი ხერხებით.

როგორც პრესის ცნობებიდან და პასუხისმგებელ პირთა განცხადებებიდან ჩანს, ყოველივე ეს კეთდება ყალბი საბაბით, თითქოს მოსახლეობის მასობრივი გამოსვლები, რაც ლიბანში ხდება მის საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ, ლიბანის დამოუკიდებლობისა და მისი კონსტიტუციის დასაცავად, ინსპირირებული იყოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიერ.

ყოველივე ეს კოლონიზატორთა ცნობილი ხერხებია, რომელთაც არა ერთხელ ჩაუხშიათ პატარა ქვეყნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უარს ამბობდნენ თავიანთ კისერზე დაედგათ უცხოეთის ბატონობის უღელი. წარსულში ასეთ ხერხებს იმისათვის მიმართავდნენ, რომ წამოეწყოთ მძარცველური კოლონიური ომები. ახლა მათ იმისათვის მიმართავენ, რომ ზოგიერთ პატარა ქვეყანას თავს მოახვიონ წესები, რომლებიც უცხოა მათი საკუთარი ხალხებისათვის, მაგრამ ხელსაყრელია უცხოეთის კაპიტალისტური მონოპოლიებისათვის და შეესაბამება აგრესიული სამხედრო ბლოკების სტრატეგიულ გეგმებს.

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინტერვენციას ამზადებენ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის მთავრობამ, დაუთმო რა ერთ დროს გარეშე ზეგავლენას, განაცხადა, რომ იღებს ყბადაღებულ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას"?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის, თუ განვიხილავთ ნამდვილ მოტივებს და არა მოჩმახულ მტკიცებებს, რომლებსაც ავრცელებს ამერიკის ოფიციალური პროპაგანდა, რათა გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს შეუწყნარებელი მოქმედება ლიბანის მიმართ.

კარგად არის ცნობილი, რომ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა" — კოლონიური ძარცვის ეს აშკარა პროგრამა — უარყვეს არაბმა ხალხებმა, რომლებმაც სამართლიანად შეაფასეს იგი როგორც ისეთი პროგრამა, რომელიც უცხოა მათი ნამდვილი ეროვნული ინტერესებისათვის, მათი სუვერენიტეტისათვის.

ყოველი დღე გვიჩვენებს, რომ ამ დოქტრინის ინიციატორები სულ ახალ-ახალ მარცხს განიცდიან, როცა ცდილობენ ჩაახშონ აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, შეაჩერონ საძულველი კოლონიური ბატონობისაგან ხალხთა სრული განთავისუფლების უძლეველი პროცესი. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ სურთ გამოაცოცხლონ ეს მკვდარი დოქტრინა, სურთ წამალი შეუშხაპუნონ მას. რაც შეეხება იმ საშუალებათა არჩევას, რომლებსაც ამ მიზნით მიმართავენ როგორც ძველი, ისე ახალი კოლონიზატორები, ამ მხრივ მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ. მაგრამ ისინი ერთ რამეს არ ითვალისწინებენ. არ ითვალისწინებენ იმას, რომ წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა წარმატებით გამოეყენებინათ ძველი იმპერიალისტური ლოზუნგი „გასთიშე და იბატონე", ლოზუნგი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ყველა კოლონიზატორის დევიზი იყო. —

ხალხებს, რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სურთ თვითონ გამოიყენონ თავიანთი სიმდიდრენი, განახორციელონ დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც მათს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, არ დაეკითხონ არც ლონდონს, არც ვაშინგტონს.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღმოსავლეთის ხალხებს სურთ იცხოვრონ როგორც სრულუფლებიანმა ბატონ-პატრონმა თავიანთ სახლში, მშვიდობიანად და მეგობრულად ყველა ხალხთან და არა ისე, როგორც ეს სურთ ნატოს, სეატოს და ბაღდადის პაქტის ორგანიზატორებს, რომლებმაც მტკიცედ დაუკავშირეს თავიანთი პოლიტიკა „ცივ ომს", გამალებულ შეიარაღებას და შეუკავებელ ექსპანსიას პატარა ქვეყნებისა და ხალხების მიმართ.

სწორედ ასეთ პოლიტიკას გამოხატავს დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ლიბანის მიმართ, რომლის მშვიდობისმოყვარე ხალხს მხოლოდ ერთი რამ სურს — იცხოვროს მშვიდობიანად და მეგობრულად თავის მეზობლებთან — არაბთა სხვა ქვეყნებთან. მაგრამ სწორედ ეს არ აძლევს ხელს კოლონიზატორებს, რომლებსაც სურთ ხელფეხი შეუბოჭონ ლიბანს პოლიტიკურად და ეკონომიურად.

იმ ამბების გამო, რომლებიც ლიბანის გარშემო ხდება, კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გავაკეთოთ.

თვალში გვეცემა ის ფაქტი, რომ ეს ამბები მოხდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არის ჩაქრობილი ინდონეზიის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის საშიში კერა, ინდონეზიისა, სადაც იმპერიალისტები მთელი მსოფლიოს თვალწინ ცდილობენ შანტაჟისა და ზემოქმედების გზით, თვით პირდაპირი აგრესიის გამოყენების გზით ჩაახშონ წინააღმდეგობა ინდონეზიელი ხალხისა, რომელიც თავის დამოუკიდებლობას იცავს. ახლა იმპერიალისტებმა ლიბანი აირჩიეს თავიანთი ინტრიგებისა და საშიში პროვოკაციების ახალ ობიექტად, ისწრაფვიან რა დაამყარონ ლიბანში კოლონიური რეჟიმი და ლახვარი ჩასცენ მთელი არაბული აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში მიაჩნიათ, რომ იმ საკითხთა გადაჭრა, რომლებიც ლიბანის სახელმწიფოს ეხება, ლიბანელი ხალხის ხელშეუვალი უფლებაა და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ამ საქმეებში. ყოველგვარი ცდა — ლიბანის ესა თუ ის საშინაო ამბები გამოიყენონ გარედან ჩარევისათვის, საშიშ მდგომარეობას ქმნის ახლო აღმოსავლეთში და შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიწვიოს არა მარტო ლიბანის სახელმწიფოსა და მისი დამოუკიდებლობის ბედისათვის, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის ბედისთვისაც.

სსრ კავშირის ხელმძღვანელ წრეებში გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ არც ერთი სახელმწიფო არ დაადგება ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევის გზას, რა ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს ეს ჩარევა, და არ დაუშვებს, რომ ომის საშიში კერა შეიქმნას ამ რაიონში.

# ს ა ბ ჭ ო თ ა  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  დ ღ ე

★ ★ ★

## სახალხო პოეტი რუსთავის მუშებთან

რ უ ს თ ა ვ ი. (საქ. კორ.). ამ დღეებში ქართველ მეტალურგთა ქალაქს რუსთავს ეწვია სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. რუსთავში მხცოვან პოეტ-აკადემიკოსს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. შეხვედრაზე, რომელიც მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოეწყო, მოვიდა მრავალი მეტალურგი, მშენებელი, მოსწავლე, ინტელიგენციის წარმომადგენელი.

ლიტერატურული საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. კავთიაშვილმა.

მოხსენებისათვის „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება" სიტყვა მიეცა მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელს მწერალ კ. მუმლაძეს.

მოხსენების შემდეგ გ. ტაბიძეს მიესალმნენ ადგილობრივი პოეტები, პიონერები და ქალაქის საწარმოთა მოწინავენი.

გ. ტაბიძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.



ს უ რ ა თ ზ ე: მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი კ. მუმლაძე გალაკტიონ ტაბიძეს უკითხავს ახალგაზრდა მეტალურგთა ლექსებს.

ფოტო დ. ცხოვრებოვისა.

## ზ ე ი მ ო ბ ე ნ  პ ი ო ნ ე რ ე ბ ი

კვირას თბილისის ქუჩებში განსაკუთრებით ბევრს შეხვდებოდით ალისფერ ყელსახვევებიან გოგონებსა და ბიჭუნებს. ყველა სხვადასხვა მიმართულებით მიისწრაფოდა. ზოგს სკოლებში მიეჩქარებოდა, ზოგს კულტურის სახლებსა თუ პიონერთა სახლებში, და ვინ იცის კიდევ რამდენი შესაკრები ადგილი ჰქონდათ ქალაქის პიონერებს. ისინი ხომ დღეს დღესასწაულობდნენ ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 36-ე წლისთავს.

რამდენი საინტერესო ღონისძიება მოაწყეს პიონერებმა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. ჯერ კიდევ ადრე მთაწმინდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე საფუძველი ჩაუყარეს მეგობრობის ბაღს, სადაც დარგეს სხვადასხვა ხეხილი, ვაზი. თავიანთი თვითმოქმედების საჩვენებლად სკოლებში გამართეს დრამატული წრეების დათვალიერება.

და როცა მოახლოვდა პიონერის დღე, ქალაქის ყველა რაიონის პიონერულმა ორგანიზაციებმა ცალცალკე განახორციელეს მასობრივი ღონისძიებანი.

ლენინის, სტალინის და ოქტომბრის რაიონების პიონერები კვირას გაემგზავრნენ არმაზში. მათ დაათვალიერეს მცხეთის ღირსშესანიშნავი ძეგლები. შეაგროვეს მასალები ამ რაიონის ფლორისა და ფაუნის შესასწავლად, ხოლო საღამოს კოცონთან გაიმართა სარაიონთაშორისო შეკრება. დიდხანს გაისმოდა ძველ ნაქალაქარში ნორჩების ხმაშეწყობილი ცეკვა-სიმღერა.

დღის 12 საათზე ლენინის მოედანზე სტარტი მიეცა საქალაქო პიონერულ ესტაფეტას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის სკოლების სპორტსმენები.

დღის 4 საათზე ზეიმში მონაწილე ქალაქის სკოლების პიონერები შეიკრიბნენ კომუნარების ბაღში, ბორის ძნელაძის ძეგლთან პიონერულ ხაზზე.

გუშინ პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო დიდი საღამო-სეირნობა.

პიონერთა ზეიმი გრძელდება.

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეები საქართველოში

საქართველოში მესამე დღეა სტუმრად არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი. ეცნობიან რა ჩვენს რესპუბლიკას, ისინი იყვნენ რუსთავში, მცხეთაში, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები შეხვდნენ საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს. განაგრძობენ რა საქართველოში მოგზაურობას, 19 მაისს ისინი გაემგზავრნენ სოხუმში. (საქდესი).

## თითოეულ შრომადღეზე 10 მანეთი ავანსად

გ უ რ ჯ ა ა ნ ი. (საქ. კორ.). სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. შარშან მარტო ფულადმა შემოსავალმა ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. ვაზისუბნელები წელს უკეთესად მუშაობენ. სანიმუშოდ უვლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ამრავლებენ პირუტყვს, ზრდიან მის პროდუქტიულობას.

ბეჯითი შრომის შედეგად წარმატებები მრავლდება. პირველ კვარტალში ფულადმა შემოსავალმა 1.800 ათას მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობამ თითოეულ შრომადღეზე ავანსად ათი მანეთი გასცა. წარჩინებულმა კოლმეურნეებმა მ. ომანაშვილმა, გ. შუხოშვილმა, გ. ხოლომნიშვილმა და სხვებმა ავანსად დიდი თანხები მიიღეს.

## კ ო რ ე ი დ ა ნ  კ ვ ა ი ს ა შ ი

ს ტ ა ლ ი ნ ი რ ი. (საქ. კორ.). კვაისელმა მაღაროელმა ქალებმა საინტერესო წერილი მიიღეს.

„საყვარელო მეგობრებო, — ეწერა წერილში. — ჩვენ, მაღაროელმა ქალებმა, ბევრი რამ ვიცით თქვენი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. მართალია, ძალიან შორს ვართ, მაგრამ გული გულს იცნობს. გვახარებს თქვენი წარმატებები..." ასე სწერდნენ შრომისმოყვარე კორეელი ქალები კონდოკის მაღაროებიდან საბჭოთა ქვეყანაში, კვაისის მთებში მომუშავე ქალებს.

კორეელთა მეგობრული წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა. წერილის ტექსტი გამოაკრეს კლუბში, სამკითხველოში.

მალე საპასუხო წერილიც მოამზადეს კვაისელმა ქალებმა. ასე დაიწყო კვაისელ და კონდოკელ მაღაროელ ქალთა მეგობრობა, რომელიც ახლა სოციალისტურ შეჯიბრებაში გადაიზარდა.

## ქართულ ცეკვებს ნახავენ იტალიელები

შორს გაუთქვა სახელი ჩვენს ხელოვნებას საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა. ქართულმა ცეკვებმა მოხიბლა ფინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, საფრანგეთის, დანიის, ავსტრიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის და სხვა სახელმწიფოების საზოგადოებრიობა.

ამჟამად ანსამბლი კვლავ საგასტროლოდ მიიწვიეს საზღვარგარეთ. იგი მიემგზავრება იტალიაში.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ანსამბლის ხელმძღვანელებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს ი. სუხიშვილსა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნ. რამიშვილს.

— საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი 55 კაცის შემადგენლობით 20 მაისს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრება,—გვითხრა ილიკო სუხიშვილმა, — იქიდან კი 24 მაისს გავფრინდებით იტალიაში, სადაც ერთ თვეს დავყოფთ.

28 მაისს იტალიის ქალაქ მილანში დანიშნული გვაქვს პირველი კონცერტი. შემდეგ კონცერტებს გავმართავთ რომში, ვენეციაში, ნეაპოლში, ფლორენციასა და გენუაში.

იტალიელი მაყურებლების წინაშე ჩვენ წარვდგებით ძირითადად იმავე პროგრამით, რომელიც ვუჩვენეთ ფრანგებს. შესრულებული იქნება ცეკვები „ქართული", „მხედრული", „ფერხული", „ხევსურული სიუიტა", „ნარნარი" და სხვ.

— ნამდვილად საინტერესო მხარეში მივდივართ,—ამბობს ნინო რამიშვილი.— აბა ვის არ სურს გენუის, ვენეციის, ნეაპოლის ნახვა, და აი ახლა, როცა უკვე მეთოთხმეტედ გვიხდება საზღვარგარეთ გამგზავრება, ჩვენ მაინც ვღელავთ.

თქვენი გაზეთის საშუალებით ანსამბლის წევრებს სურთ უთხრან ჩვენს საყვარელ თანამემამულეებს, რომ ეცდებიან შეაყვარონ იტალიელებს ქართული ხელოვნება.

# სპორტის ამბები

## საბჭოთა ძალოსნების მესამე გამარჯვება

საბჭოთა ძალოსნების გამოსვლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთო მოწონება დაიმსახურა. ისინი სამჯერ შეხვდნენ ამერიკელ შტანგისტებს და სამივე შეხვედრა მოიგეს. მესამე მატჩი ამ ორი ქვეყნის ძალოსანთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით 4:3.

## საერთაშორისო შეხვედრები

დედაქალაქის სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივების საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას.

მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობის წინ ეს მატჩი ძალების ერთგვარი მოსინჯვაც იყო. იგი შედგა 18 მაისს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე.

ორივე გუნდმა აჩვენა მაღალტექნიკური თამაში. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ბურთი გაიტანა კევანმა. მეორე ტაიმში ივანოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

• • •

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კიევში ადგილობრივი „დინამოსა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ფრანკფურტ — 1899" გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 2:0.

## სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასი

ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. 18 მაისი. უკანასკნელ მატჩებში წარმატებით გამოდის ლენინგრადის ფეხბურთელთა კოლექტივი „ადმირალტეეცი". ლენინგრადელებმა მორიგი შეჯიბრება გამართეს თავიანთ მოედანზე კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

• • •

კ ი შ ი ნ ი ო ვ ი. 18 მაისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მოლდოვასა" და სტალინოს „შახტიორის" გუნდები. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა „შახტიორის" ფეხბურთელთა გამარჯვებით 3:2.

## საქართველოს მძლეოსანთა გამარჯვება

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩმა, რომელიც 17 და 18 მაისს გაიმართა ერევანში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეს შეჯიბრება საქართველოს სპორტსმენთა წარმატებით აღინიშნა. ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა კოლექტივმა 175,5 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის გუნდი (119,5 ქულა). 68 ქულით სომხეთის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

პირად შეჯიბრებაში დიდი გამარჯვება მოიპოვა შავლაყაძემ, რომელიც 210 სანტიმეტრზე გადახტა. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია. ახალი რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს აგრეთვე პაპინოვმა (ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში — 4 მეტრი, 25 სანტიმეტრი), დვალიშვილმა (მძლეოსნური ხუთჭიდი — 4.314 ქულა) და გოგონათა შორის იეგლევამ (მძლეოსნური ხუთჭიდი — 4.143 ქულა).

საქართველოს მძლეოსნებმა ამ შეჯიბრებაზე აჩვენეს 23 პირველი თანრიგის და 1 ოსტატის შედეგი.

---

ხუთშაბათს, 22 მაისს, მწერალთა კლუბში პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე დანიშნულია გრ. აბაშიძის რომანის „ლაშარელას" განხილვა.

მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ბესარიონ ჟღენტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

რედაქტორი პ. რატიანი.

# თავისუფლების მგზნებარე მომღერალი

⊙

(ირ. ევდოშვილის დაბადების 85 წლისთავის გამო)

⊙



ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელი ირ. ევდოშვილი, მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ქართული კლასიკური მწერლობის მემკვიდრეობაზე აღიზარდა. მან ღრმად შეითვისა წინა თაობის — პროგრესული ინტელიგენციის მებრძოლი პატრიოტიზმი, სამართლიანობისა და ჰუმანურობის იდეები. ილია ჭავჭავაძის „ივერიის" ფურცლებიდან ირ. ევდოშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე თავისი ძლიერი პოეტური ხმა შეუერთა ქართული კლასიკური მწერლობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ბანაკს.

ირ. ევდოშვილის ლექსი „გუბე" პირველად 1893 წლის 6 ივნისს „კვალში" დაიბეჭდა. ხოლო მეორე ლექსი „გაზაფხული" — „ივერიაში" 1895 წლის 7 მარტს. ლიტერატურულ ასპარეზზე იროდიონ ხოსიტაშვილი პირველად ევდოშვილის ფსევდონიმით სწორედ ამ ლექსით გამოვიდა.

მალე ირ. ევდოშვილი „ივერიის" რედაქციის მუდმივი თანამშრომელი გახდა. გამოქვეყნდა მისი ლექსები: „ამონაკვნესი", „ქარიშხალი", „ჩემს ხანჯალს", „დედის მოთქმა", „მეგობრებს", „ჩვენება", „მშვლის ნუკრი" და სხვ.

1895 წელს „ივერიაში" ლექსებს გარდა დაიბეჭდა ი. ევდოშვილის სამი პოემა: „სისხლი აიღო", „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა" და „ელენე"; მოთხრობები: „მიხა დალაქი" და „ორი ობოლი".

როგორც რედაქციის მუდმივი თანამშრომელი, ირ. ევდოშვილი მხატვრულ თხზულებათა გარდა წერდა აგრეთვე ყოველდღიურ საგაზეთო წერილებს და ფელეტონებს საჭირბოროტო საკითხებზე.

ირ. ევდოშვილი თანამშრომლობდა „ივერიაში" 1896 წლის 15 მარტამდე. ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა: მოთხრობა „სასუნელი ენოქი", პოემა — „ლექი ისმაილ", ლექსები: „როს დასავლეთით გადიხრება მზე", „შრომა, ოფლის ღვრა", და „მე დავიბადე ძველს წნულის ქოხში".

ამ პერიოდში ირ. ევდოშვილი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, თავისუფლებისათვის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლაში აქტიური მონაწილეა.

1895 წლის 21 მაისს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა ირ. ევდოშვილის ცნობილი ლექსი „მეგობრებს". ირ. ევდოშვილის პოპულარობა და სიყვარული ამ ლექსმა კიდევ უფრო გააძლიერა.

1895 წელს სექტემბერში ქართველმა მოწინავე საზოგადოებრიობამ აღნიშნა ისტორიული დღე — კრწანისის გმირთა დაღუპვის ასი წლისთავი. ირ. ევდოშვილმა ამ გმირული ისტორიული თარიღის აღსანიშნავად დაწერა შესანიშნავი ლექსი „ვუძღვნი კრწანისის გმირთ", რომელიც „ივერიაში" დაიბეჭდა.

საქართველოში მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ირ. ევდოშვილის მებრძოლი ხმაც მკვეთრად გაისმა, უფრო გამძაფრდა, იდეურად ჩამოყალიბდა და განმტკიცდა.

1899 წლის შემდეგ დაწერილ ლექსებში ირ. ევდოშვილი მთელი თავისი პოეტური გატაცებით მოუწოდებს მუშათა მასებს თვითმპყრობელობის დასამხობად პოლიტიკური ბრძოლისაკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ლექსები: „გვიანლა არი, ჩემო მუზავ", „დაღლილ-დაქანცულთ", „სიმღერა", „განთიადი", „ჩემს მერცხალს", „ჩონგურს", „გაზაფხული", „დილის ნიავი განთიადს" და სხვ.

ამ პერიოდში პოეტის ჩანგი მშრომელი ხალხის სიცოცხლისა და სიხარულის, გამარჯვებისა და ბრძოლის, თავისუფლებისა და შემოქმედებითი ცხოვრების დამკვიდრებას უმღერის. იგი მისწრაფვის მიაგებოს ხალხის დიადი გაზაფხულის, განთიადის პირველი სხივის მახარობელს. პოეტს თვალწინ ეხატება თავისუფლების დიადი სურათი:

განთიადია... მოდის მზე,
მოდის გვირგვინი ქვეყნისა,
მხრებზე ასხია სხივები,
პორფირი მეფეთ-მეფისა.

რევოლუციურ მოძრაობას შეუწყო ირ. ევდოშვილმა თავისი პოეტური ჰანგები, აჰყვა მის მაჯისცემას და მთელი გატაცებით ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა. რევოლუციის ქარიშხალზე ამღერებულმა პოეტმა მომართა თავისი ჩანგი და ამ ჩანგის ჰანგებით გულაღგზნებულ მუშათა მასებს მოუწოდებდა ძველი სამყაროს დანგრევისაკენ.

ირ. ევდოშვილს, როგორც მებრძოლ პოეტს, ღრმად სწამს, რომ მშრომელი ხალხის თავისუფლება მისი სისხლხორცეული საქმეა. მისი მოპოვება მხოლოდ რევოლუციური ბრძოლით შეიძლება.

ილიას ვერაგულად მოკვლით გამოწვეული დიდი ეროვნული გლოვა და მწუხარება მკვეთრად აისახა ირ. ევდოშვილის პოეზიაში. როდესაც „ილიას მოხუც, ნაჭირნახულევ გულს ტყვია დაახალეს", პოეტის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. იგი წონასწორობიდან გამოვიდა, დაკარგა სულიერი სიმშვიდე და პოლიტიკური რწმენის კატასტროფა განიცადა. „ეს ტყვია მეც მომხვდა, — როგორც სამგლოვიარო სევდა", — წერდა იგი, და მთელი თავისი გულის ბოღმა გადმოაფრქვია ილიასადმი მიძღვნილ ლექსებში, სამგლოვიაროდ წარმოთქმულ სიტყვებსა და ნეკროლოგში.

საერთოდ ირ. ევდოშვილის შემოქმედებას 1907-1916 წლებში რეაქციამ თავისი დაღი დააჩნია. თავი იჩინა უიმედო განწყობილებამ, სევდისა და მოლილობის, მერყეობისა და გულგატეხილობის გამომხატველმა მოტივებმა.

ირ. ევდოშვილი თვითონაც გრძნობდა, რომ მისი ჩანგის ხმათა ძღერა ის აღარ იყო, რაც განვლილი რევოლუციის პერიოდში. მაშინ მისი სიმღერა მოვარდნილი ქარიშხლის გუგუნს ჰგავდა, — ახლა კი პოეტი გარკვევით ამბობდა, ეს ის სიმღერა არ არის, ის ხმა არ არის ჩანგისა, გულს ცეცხლის მომკიდებელი, დამყუჩებელი ნაღვლისა.

მიუხედავად უიმედობისა და გულგატეხილობისა, ირ. ევდოშვილმა მეორე პერიოდშიც მოგვცა მთელი ციკლი თხზულებებისა, რომლებშიც გამოხატულია სამშობლოსა და მშრომელი ხალხის გამარჯვების ღრმა რწმენა. იგი ბოლომდე დარჩა ქართველი მშრომელი ხალხის საყვარელ, მგზნებარე მომღერლად, მოჭირნახულედ.

შ. გოზალიშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

---

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს კონკურსს კათედრის გამგის, პროფესორის, დოცენტის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად შემდეგ კათედრებზე: თეორიული მექანიკის, ექსპერიმენტული ფიზიკის, ჰიდროაერომექანიკის, უხერხემლოთა ზოოლოგიის (გარდა კათედრის გამგის თანამდებობისა), ახალი ისტორიის, ძველი ქვეყნების ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის, რუსული ლიტერატურის ისტორიის (გარდა კათედრის გამგის თანამდებობისა), ჟურნალისტიკის, საზღვარგარეთის ლიტერატურის (გარდა კათედრის გამგის თანამდებობისა), ინგლისური ენის, აღმოსავლეთის ისტორიის, სტატისტიკის, სამოქალაქო სამართლის, სსრკ ისტორიის (კათედრის გამგე), ბოტანიკის (კათედრის გამგე), კავკასიური ენების (კათედრის პროფესორი), გეოლოგია-პალეონტოლოგიის (კათედრის დოცენტი), არაორგანული ქიმიის (კათედრის დოცენტი), გერმანული ენის (კათედრის დოცენტი), სემიტოლოგიის (კათედრის პროფესორი), ფინანსებისა და კრედიტის (კათედრის პროფესორი), პოლიტიკური ეკონომიის (კათედრის დოცენტები), სახალხო მეურნეობის დაგეგმვის (კათედრის დოცენტი), ჰისტოლოგიისა და გენეტიკის კათედრა (კათედრის პროფესორი).

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 1.

## დღეს თბილისის კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, იხანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი** — ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — ლისი, **ისანი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო), **ცენტრალური კულტურის სახლი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩექმებიანი კატის ახალი თავგადასავალი, **კომკავშირელი** — პეტერი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სისხლიანი გზა, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი** — ეს არ იყო ამაოდ, **კოლხიდა** (საზაფხულო) — კატერინა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — „ჰრელთა" საქმე, **კოლმეურნე, საქართველო** (საზაფხულო) — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — რიტა.

## დისერტაციების დაცვა

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 3)

1958 წ. 31 მაისს დღის 3 საათზე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **იური ვლადიმერის-ძე ჩხარტიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К теории F-центров в щелочно-галоидных кристаллах".

1958 წ. 31 მაისს დღის 5 საათზე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თენგიზ ივანეს-ძე სანაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Парамагнитный резонанс неодима и тербия в нитрате".

დისერტაციებს გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

## ტელეგადაცემათა პროგრამა

**21 მაისისათვის**

19.30 — კინოჟურნალები, 19.50 — „თბილისის პლასტმასის ქარხანა ახალი ამოცანების წინაშე", 20.10 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიო რუკასთან" — კინონარკვევი „კუნძულ ცეილონზე", 20.40 — მხატვრული ფილმი „ოთხნი".

---

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება შრომის გმირის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის

**ანდრო ანტონის-ძე შუბლაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-V, 8 ს. გამოსვენება 22-V, 6 ს. ბარნოვის ქ. № 81.

უე 02561

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14